პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 118 (3095) 21 1966 წ. ივნისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

16,02!

ერთიანი ბიბლიოთეკა

ტარტუ, 20 ივნისი (**დეპეშით**). გასულ შაბათ-კვირას აქ გაიმართა ესტონეთისა და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. საქართველოს კოლექტივი ერთგვარად შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობდა, ვინაიდან ამ გუნდის რამდენიმე მოწინავე ათლეტი საერთაშორისო შეჯიბრებებში იყო დაკავებული, ხოლო ზოგიერთნი სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების გამო ვერ ჩამოვიდნენ. და მაინც, ტურნირი (გაიმარჯვეს მასპინძლებმა) საინტერესოდ წარიმართა. მძლეოსნებმა ბევრი კარგი შედეგით გაგვახარეს. მაგალითად, **თბილისელმა სპორტის ოსტატმა ლ. დარახველიძემ სამხტომში 16,02 მეტრი აჩვენა და 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი.** ქუთაისელმა ი. კოზელსკიმ გაიმეორა საქართველოს რეკორდი 400 მეტრზე თარჯრბენში—52,9.

ჩვენი სპორტსმენებიდან I ადგილები მოიპოვეს: თბილისელებმა — ვ. ქუთათელაძემ (100 და 200 მეტრზე რბენაში). ა. ანდრეევმა (100 მეტრზე რბენაში), ლ. ტუღუშმა (ბადროს ტყორცნაში), ი. ლოგუნოვმა (800 და 1.500 მეტრზე რბენაში), ა. შჩერბინამ (სპორტულ სიარულში), ქუთაისელმა ჯ. ჩუბინიძემ (სიმაღლეზე ხტომაში), ესტაფეტაში 4×400 მეტრზე და სხვ.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. დარახველიძე გადასახტომად ემზადება.

ცნობები ტოლიდოდან

ჩემპიონები, პრიზიორები...

ტოლიდოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დროებით შეწყდა ვნებათა ღელვანი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა დაამთავრეს სამდღიანი ცხარე „დისკუსიები" მსოფლიო ჩემპიონთა წოდებისთვის. მაგრამ პარბიელი მხოლოდ ერთი დღით დაცარიელდა. გუშინ ახალი ძალით იფეთქა ბრძოლამ ოქროს მედლებისთვის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის.

მოგვყავს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატის შედეგები:

გუნდური ჩათვლა

1. თურქეთი — 34 ქულა, 2. სსრ კავშირი — 28, 3. აშშ — 23, 4-5. ბულგარეთი, ირანი — 19-19, 6. იაპონია — 17.

პირადი ჩათვლა

უმსუბუქესი. 1. **ჩან სუნ ჩანი (სამხრეთ კორეა),** 2. ი. კაცუმორა (იაპონია), 3. რ. სანდერსი (აშშ)... 5. ტ. ალიბეგაშვილი (სსრკ).

მჩატე: 1. **ა. ალიევი (სსრკ),** 2. ხ. სევინჩი (თურქეთი), 3. ა. ტალები (ირანი).

ქვემსუბუქი. 1. **მ. კანეკო (იაპონია),** 2. რ. დუგლასი (აშშ), 3. ნ. ქაბანლი (თურქეთი) ... 5. ე. თედეევი (სსრკ).

მსუბუქი. 1. **ა. მოვახედი (ირანი),** 2. ი. ხარიუჩი (იაპონია), 3. ა. აგრალი (თურქეთი) ... 7. ზ. ბერიაშვილი (სსრკ).

ქვესაშუალო. 1. **მ. ათალაი (თურქეთი),** 2. გ. სალარაძე (სსრკ), 3. ხ. ტეხამი (ირანი).

საშუალო. 1. **პ. გარჯევი (ბულგარეთი),** 2. ხ. გიუნგიორი (თურქეთი), 3. ი. ურბანი (ჩეხოსლოვაკია) ... 7. ა. ცხოვრებოვი (სსრკ).

ქვემძიმე. 1. **ა. მედვედი (სსრკ),** 2. ა. აიკი (თურქეთი), 3. ს. მუსტაფოვი (ბულგარეთი).

მძიმე. 1. **ა. ივანიცკი (სსრკ),** 2. ლ. კრისტოფი (აშშ), 3. ა. ანვარი (ირანი).



ა. ალიევი



ა. მედვედი

ა. ივანიცკი

1953 წლიდან დღემდე

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა I მსოფლიო ჩემპიონატი 1953 წელს ჩატარდა. ტურნირში სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან ერთად საბჭოთა ათლეტებიც მონაწილეობდნენ. ამ დროიდან მოყოლებული, ჩვენები რეგულარულად გამოდიან მსოფლიო პირველობებში და საკმაოდ წარმატებითაც. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების უხვმოსავლიანობით ისინი I ადგილზე არიან. დღეს გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ნაჩვენებია, თუ 1953 წლიდან დღემდე რომელმა ქვეყანამ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს რამდენი მედალი მოიპოვა (ცხრილში შეტანილია ტოლიდოს ეს-ეს არის დამთავრებული პირველობის შედეგებიც).

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1. სსრ კავშირი	21	13	8	42
2. თურქეთი	12	14	13	39
3. ირანი	17	8	5	30
4. ბულგარეთი	5	11	8	24
5. იაპონია	7	6	8	21
6. უნგრეთი	—	4	3	7
7. აშშ	—	2	4	6
8. გფრ	1	1	3	5
9. შვეცია	—	2	2	4
10. ფინეთი	—	1	1	2
11. იტალია	—	—	2	2
პაკისტანი	—	—	2	2
13. სამხრეთ კორეა	1	—	—	1
14. რუმინეთი	—	1	—	1
ჰოლანდია	—	1	—	1
15. გდრ	—	—	1	1
საფრანგეთი	—	—	1	1
ინდოეთი	—	—	1	1
ჩეხოსლოვაკია	—	—	1	1

გ. სალარაძე



ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ა. ალიევისა (მარცხნივ) და თურქ ხ. სევინჩის შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა საბჭოთა ათლეტმა.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა.

ყურადღება საათს!

◆ **პრაღა** 20 ივნისი. ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ტანმოვარჯიშე ქალთა აქ დამთავრებულ ჩემპიონატში ბადალი არ ჰყავდა ტოკიოს ოლიმპიადის გმირს, მომავალი მსოფლიო პირველობის ფავორიტს ვერა ჩასლავსკას. მრავალჭიდში მან დააგროვა **78,95** ქულა და უახლოეს მეტოქეს — ი. სედლაჩკოვას **1,7** ქულით გაასწრო. ჩასლავსკამ ყველა იარაღზე გაიმარჯვა (ბჯენითი ხტომები — **19,65,** ორძელი — **19,8,** დვირი — **19,7,** თავისუფალი ვარჯიში — **19,925**).

◆ ლ ო ნ დ ო ნ ი, 20 ივნისი. დამთავრდა ინგლისის დედაქალაქის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ქალთა ფინალში ფ. დიურმა (საფრანგეთი) დაამარცხა ავსტრალიელი დ. ტეგარტი — 6:4, 6:4. ქალთა წყვილებში საუკეთესონი აღმოჩნდნენ ნ. ბაილონი (არგენტინა) და ა. ვან ზილი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), რომლებმაც სძლიეს ამერიკელებს რ. კასალიესა და დ. მოფიტს — 3:6, 6:2, 11:9. შერეული წყვილების გადამწყვეტ მატჩში გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა ტ. გრენმანმა და ტ. ოკერმა. ამ დუეტმა მოუგო ე. ლუნდკვისტსა (შვეცია) და ი. ლემლის (დანია) — 6:3, 6:3. ავსტრალიელი ტ. როჩის ავადმყოფობის გამო არ შედგა ვაჟთა ერთეულებისა და წყვილების ფინალური შეხვედრები. დღეს სტარტი აიღო მსოფლიოს არაოფიციალურმა პირადმა ჩემპიონატმა — უიმბლდონის ტურნირმა. ბრძოლაში ჩაება 122 ვაჟი და 96 ქალი, მათ შორის ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი და გ. ბაკშეევა.

◆ **პარიზი, 20 ივნისი.** საფრანგეთის მძლეოსანთა ასპარეზობისას კვლავ „სიმაღლეზე" აღმოჩნდა 22 წლის ჟაკ მადიუბო: მან დაამყარა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი — გადაევლო 215 სმ-ზე გადებულ თამასას.

ჯერჯერობით ესკიზი...

მოსკოვი, 20 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ხვალ დილით „ნისლიანი ალბიონის" ნაპირებისაკენ კურსს აიღებს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები. სანდერლენდს ისინი მხოლოდ ივლისის პირველ რიცხვებში ჩავლენ. მანამდე კი შვეციაში გამართავენ ბოლო საწვრთნელ მატჩებს. ჩვენებმა თავიანთ რეზიდენციად კვლავ საკურორტო ქალაქი ხინდოსი (გეტებორგის მახლობლად) აირჩიეს, რომლის შემოგარენი ჩვენს ბიჭებს უმაღლესი საფეხბურთო ოლიმპის პირველი წარუმატებელი იერიშის ნაღვლიან მოგონებებს უქმნის. იქნებ, ამჯერად, ყოველივე სულ სხვაგვარად წარიმართოს!..

ჟურნალისტთა წრეში მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში თავისებური რეკორდი დაამყარა: არც ერთი გუნდი არ მოგზაურობდა ასე ღიდხანს საზღვარგარეთ და არსად არ მოუწყვეტიათ ასე დიდი ხნით (მთელი 7 თვით) მოთამაშეები საკუთარი კლუბებისთვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლის მესამე ცდა უფრო იღბლიანი იქნება.

და მაინც, ჯერჯერობით ხელთა გვაქვს ესკიზი იმ გუნდისა, რომელიც ჩვენს ღირსებას დაიცავს ინგლისის სტადიონებზე. ნაკრები ჯერჯერობით ასე გამოიყურება: კავაზაშვილი, იაშინი, ბანიკოვი, პონომარიოვი, გეტმანოვი, შესტერნიოვი, აფონინი, კორნეევი, ხურცილავა, ოსტროვსკი, დანილოვი, საბო, ვორონინი, სერებრიანიკოვი, სიჩინავა, მეტრეველი, პარკუიანი, ბანიშევსკი, მალოფეევი, მარქაროვი, ჩისლენკო, ჰუსაინოვი.

ვიმეორებთ, შესაძლოა გუნდმა ერთგვარი ცვლილებები განიცადოს. ნაკრების საბოლოო შემადგენლობას სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-ს 2 ივლისს აცნობებს.

მეოცხრეთა ქალაქის მოედნებზე

ტყიბულში გრძელდება ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, ჭიათურის, ტყვარჩელის, ტყიბულის, ახალციხისა და სხვა გუნდები. უკვე დამთავრდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობასა და მაგიდის ჩოგბურთში.

ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს: უმცროსებს წონაში — მ. ლაცაბიძემ (ტყიბული), მცირეში — ზ. ზუხბამ, ქვეშსუბუქში — ო. ჯობავამ (ორივენი — ტყვარჩელი), მსუბუქში — პ. გიორგაძემ, ქვესაშუალოში — ტ. გიქოშვილმა (ორივენი — ახალციხე), საშუალოში — რ. ბერუაშვილმა, ქვემძიმეში — ბ. კირტავამ, მძიმეში — დ. ბაღათელიამ (ყველანი — ტყვარჩელი).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ტყვარჩელი, 2. ახალციხე, 3. ტყიბული.

მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს შახტების საპროექტო ინსტიტუტის (თბილისი) კოლექტივმა დაამარცხა ახალციხისა (3:0) და ტყვარჩელის (3:2) გუნდები და წაიგო ტყიბულელებთან — 0:3. ტყვარჩელელებმა მოუგეს ჭიათურელებსა (3:1) და ტყიბულელებს (3:2), ხოლო ჭიათურის გუნდმა დაამარცხა ახალციხის კოლექტივი — 3:1.

სპარტაკიადა გრძელდება.

ზ. ჯორჯაძე.
(ჩვენი კორ.).

ტყიბული.

ერთიანი ეროვნული გამოცდა

საჩხერე

კომკავშირის რაიკომის ინიციატივით მოეწყო რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების უფროსი პიონერხელმძღვანელთა შეჯიბრება მძლეოსნობაში. სტარტებზე გამოვიდნენ 12 საშუალო და 7 რვაწლიანი სკოლის წარმომადგენლები. I ადგილი დაიკავა საჩხერის ა. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნანი ენუქიძემ, რომელსაც სამჯიდში (რბენა, ბირთვის აკრა, სიგრძეზე ხტომა) ყველაზე კარგი შედეგები ჰქონდა. II ადგილი წილად ხვდა ჭალოს საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს ეკონია ჩხიტუნიძეს, ხოლო III — ჩიხის საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს ლიანა მეცხვარიშვილს.

ა. ანასაშვილი.

ზესტაფონი

რაიონის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მოშაშეთა გუნდურ პირველობაში მონაწილეობდა 12 კოლექტივი. I ადგილი დაიკავა შორაპნელთა გუნდმა, II — ფუთის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ, III — როდინაულის მვენახეობის საბჭოთა მეურნეობამ.

ა. განუგრავა.

ზუგდიდი

სოხუმის გზატკეცილზე ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება ველოსპორტში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩებმა. პირადი ჩათვლაშიც ამ სკოლის მოსწავლე ვ. ლაშხი იყო უძლიერესი.

ბ. ალშიბაია.

ხაშური

რკინიგზის კულტურის სახლში მოეწყო სამატჩო შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბოლნისის, ზესტაფონისა და ხაშურის 47 ათლეტი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ხაშურელებმა. პირადი ჩათვლაში (წონითი კატეგორიების მიხედვით) I ადგილები დაიკავეს: ვ. ჩარქოვმა (ხაშური), ვ. ხერიანიდიმ, გ. დიდებაშვილმა (ორივენი — ბოლნისი), ზ. ნოზაძემ, ჯ. პაპაუაშვილმა, გ. მაისურაძემ (სამივენი — ხაშური), გ. აბესალაშვილმა (ზესტაფონი) და გ. ნოზაძემ (ხაშური).

ზ. მოსეშვილი.

აბაშა

ჩატარდა რაიონული შეჯიბრება ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდა 50-ზე მეტი სპორტსმენი. I ადგილი დაისაკუთრა ონტოფოს საშუალო სკოლის მოსწავლე ც. გიგინეიშვილმა.

ი. თოფურია.

პირიქით მუზდა

ქუთაისის სპორტბაზებზე თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა II საქალაქო სპარტაკიადა ტექნიკუმებსა და სპეციალურ სასწავლებლებს შორის. ეს ღონისძიება საქართველოს IV საზაფხულო სპარტაკიადას მიეძღვნა.

მოასპარეზე კოლექტივები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. I ჯგუფში ყველას აჯობა ავტომექანიკური ტექნიკუმის გუნდმა. II ადგილი დაიკავეს სამთო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა. II ჯგუფში გაიმარჯვეს სამედიცინო სასწავლებლის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდა მუსიკალური სასწავლებლის კოლექტივი.

მეტი იყო მოხალოდნელი სამთო ტექნიკუმის წარმომადგენელთაგან, კეთილად, მძლეოსნობაში. მაგრამ ამ სახეობაში სამთოელებმა გუნდი საერთოდ... ვერ გამოიყვანეს. და ეს მაშინ, როცა მათ აქვთ სავარჯიშო და საასპარეზო ბაზები — სარბენი ბილიკები, სახტომი ორმოები, სტაყორცნი სექტორები და ა. შ.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელს.

შ. ნიშარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

„სპარტაკი“ ფრთებს ეცემა

— ერთობ ძლიერად და თან მსუბუქად დარბის. ალბათ, კარგ შედეგსაც აჩვენებს, — თქვა 100 მეტრზე ფინალურ გარბენში დაწინაურებულ ვ. სარქისიანზე „სპარტაკის“ უფროსმა მწვრთნელმა. სპორტის ოსტატმა ე. ლომმაძემ. მართლაც, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მეორეკურსელმა ზ სარქისიანმა „სპარტაკის“ რესპუბლიკურ პირად პირველობაში, რომელიც „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა, 10.6 წამი აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა. ეს საუკეთესო შედეგია წლევანდელი სეზონისთვის საქართველოში. II იყო გ. ონისიკი — 10.9, III — ქუთაისელი ა. გაგოშიძე — 11.0 (მან პირველად შეასრულა პირველი თანრიგის ნორმა).

კარგად გამოვიდა თბილისელი ცოლ-ქმარი ვ. და ი. ტარანები: ვ. ტარანმა ბადრო 51,14 მეტრზე ტყორცნა და პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა, მისი მეუღლე — ი. ტარანი კი უძლიერესი აღმოჩნდა ბირთვის კვრაში — 11,20 მ.

საინტერესო იყო საშუალო ასაკის სპორტსმენების, საქართველოს რეკორდსმენის — გ. მაკიევისა და გ. ბიწკინაშვილის „დუელი“ 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. გაიმარჯვა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მეორეკურსელმა გ. ბიწკინაშვილმა, რომელმაც სამოცალო ასაკის ჭაბუკთა 2 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ერთდროულად: 24.48.8 აჩვენა 5 კილომეტრზე, ხოლო 14.49.0 — 3 კილომეტრზე. გ. ბიწკინაშვილს (იგი ნოემბერში 17 წლის გახდება) წვრთნის საქართველოს ყოფილი რეკორდსმენი სპორტულ სიარულში ა. მჭედლიშვილი.

5-კილოგრამიანი ბირთვის კვრაში ყველას აჯობა 16 წლის ქუთაისელმა გ. ჩახუნაშვილმა — 14.34 მ. 200 მეტრზე რბენა მოიგო მისმა თანაგუნდელმა ა. გაგოშიძემ — 23,6, ხოლო სიგრძეზე ხტომა (652) და სამხტომი (13.73) — თბილისელმა ვ. ოგანესიანმა. ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში პირველი იყო მოთხილამურე სპორტის ოსტატი კ. კეხბა — 1 03.4. ჭაბუკებში ამ დისტანციაზე ყველა ჩამოიტოვა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სტუდენტმა ო. მარსაგიშვილმა — 56,6 სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის ტოლი არ ჰყავდა ზ. ხალიანს — 512. სიმაღლეზე ქალთა ხტომაში ყველას აჯობა გ. ხამაშურიძემ — 150 სმ, ხოლო ვაჟებში — ა. ბოლქვაძემ (ქუთაისი) — 180 სმ

ვ. ბუკინი,
I კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: გ. ბიწკინაშვილი სპორტული სიარულის დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

„სიმხნევისა და ჯანმრთელობის სპარტაკიადა“

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში ჩატარდა „სიმხნევისა და ჯანმრთელობის სპარტაკიადა“. პროგრამაში იყო ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, შაში.

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ჭადრაკში — ლ. დევდარიანი, მაგიდის ჩოგბურთში — გ. მირიანაშვილი, სროლაში — გ. დალაქიშვილი, შაშში — ც. ქურციკაძე.

გ. ედიშერაშვილი,
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

ბათუმი ბოლოდინშია...

ხვალ, ბათუმის ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში, სტარტს აიღებს ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ასეთი ასპარეზობა საქართველოში მეორედ ტარდება (თბილისში შარშან გამართულ I ტურნირში, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს თბილისელმა ოსტატებმა ბ. გურგენიძემ და რ. ჯინჯიხაშვილმა).

წლევანდელ შეჯიბრებაში 16 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. მთაგან 10 უცხოელია — ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

დიდ ინტერესს იწვევს ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონის ბ. კურაიცას (იუგოსლავია) გამოსვლა. სერიოზული მეტოქეები იქნებიან: მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, საერთაშორისო ოსტატი დ. მინიჩი (იუგოსლავია) და სსრ კავშირ — იუგოსლავიის მატჩის მონაწილე დ. ველიმიროვიჩი.

პეტროსიან — სპასკის მატჩის დღეებში პრესაში ხშირად შეხვდებოდით ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოსტატის მ. უიტელკის გვარს. ეს იმიტომ, რომ სპასკიმ რამდენჯერმე გამოიყენა მისი საყვარელი სადებიუტო სისტემა. უიტელკი ბათუმის ტურნირის „უუცხო“ მონაწილე იქნება, — იგი 51 წლისაა.

ბულგარელი ა. კოლაროვი და ჩეხოსლოვაკიელი ვ. იანსა მეორედ ჩამოდიან საქართველოში. მათ შარშან ითამაშეს თბილისში, ჩვენს I საერთაშორისო ტურნირში. მეორედ გვესტუმრება პოლონეთის ჩემპიონი დ. დოდაც, მაგრამ ჭადრაკს იგი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ითამაშებს. საქმე ის არის, რომ 1961 წელს დოდა თბილისსა და ბათუმში მწვრთნელად ახლდა პოლონელ მოჭადრაკეს ლ. ციანი და უნარელი ა. სელდი.

ჩვენი ქვეყნიდან ტურნირში ითამაშებენ აზერბაიჯანის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი და მასპინძლები — ოსტატები: საქართველოს ჩემპიონი რ. ჯინჯიხაშვილი, ბ. გურგენიძე და ა. ბუსლაევი, ოსტატობის კანდიდატები თ. გიორგაძე და ვ. უბილავა.

ფიდე-ს საკვალიფიკაციო ნორმების შესაბამისად, ტურნირში საერთაშორისო ოსტატის ქულის მისაღებად დაწესებულია ნორმა: 9,5 ქულა 15-დან.

შეჯიბრება, რომელიც 9 ივლისამდე გასტანს, დაძაბულ და შინაარსიან ბრძოლას გვპირდება.

თ. გიორგაძე,
ტურნირის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

„სმენის“ კონკურსში გამარჯვებულნი

საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურულ-მხატვრულმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟურნალმა „სმენამ“ ამას წინათ შეაჯამა თავისი საჭადრაკო ვიქტორინის შედეგები.

ვიქტორინაში წარმოდგენილი მასალის ამოხსნაში ჟურნალის 3 ათასზე მეტმა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა.

ჟიურიმ გამარჯვებულთა შორის დაასახელა მახარაძელი მ. დოლიძე — აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის იურისკონსულტი.

ო. კიშინსკი,
მახარაძის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ვიდრე ერთნი ასპარეზობდნენ...

თბილისის „მონკავშირის“ სტენდზე გაიმართა წლევანდელი სეზონის პირველი შეჯიბრება — დედაქალაქის ახალგაზრდა მსროლელთა პირადი პირველობა. ასპარეზობაში მხოლოდ „მონკავშირის“, „ლოკომოტივისა“ და არმიელ მონადირეთა საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სპორტსაზოგადოებებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯი ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების (ამ სახეობის მასობრივად დანერგვისა და მასში ახალგაზრდობის ფართოდ მიზიდვის შესახებ) შესასრულებლად.

ტურნირში ბევრი ახალბედა ცდიდა ძალას და მოსალოდნელი იყო, რომ მსაჯთა კოლეგია ყველაფერს იღონებდა შეჯიბრების მაღალ დონეზე გამართვისთვის. ახალბედათა დაინტერესებაში ხომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კარგად ორგანიზებული ასპარეზობა! სამწუხაროდ, თბილისის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ვერ შეძლო ტურნირის არბიტრთა დროული შერჩევა. კურიოზული ფაქტია: საკავშირო კატეგორიის მსაჯს ვ. ცინცაძეს მთავარი მსაჯობა მაშინ შესთავაზეს, როცა შეჯიბრების დაწყებას ალარაფერი უკლდა. ამის გამო ასპარეზობა საათსახვევით დაგვიანდა.

მსაჯების სიმცირემ ტურნირის შუალედობაშიც იჩინა თავი. მათი უკმარობის გამო იყო, რომ ვიდრე ადგილიდან მსროლელები ასპარეზობდნენ, მრგვალ სტენდზე მსროლელები... მაყურებლის როლში იყვნენ.

შეჯიბრების მესვეურთ არც მონაწილეთა უზრუნველყოფა მოგონებიათ ზურგის ნომრებით, უნომრობა კი, მაყურებელზე რომ არაფერი ვთქვათ, ისევ მსაჯებს უჩენდა თავსატეხს.

და, მაინც, შეჯიბრება ჩატარდა. ადგილიდან სროლაში პრიზიორთა შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო. გამარჯვებულმა ა. ბუკიამ („მონკავშირი“) 100-დან 93 სამიზნე დაამსხვრია და პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა. პ. ობიედკოვმა („ლოკომოტივი“) 89 ქულა მოაგროვა და პირველთანრიგოსნის სახელი მოიპოვა. III ადგილზე გავიდა ა. გრიგორიადი (არმიელ მონადირეთა საზოგადოება) — 86 ქულა.

მრგვალ სტენდზე მსროლელთაგან ქების ღირსი მხოლოდ ნ. გოცირიძეა (არმიელ მონადირეთა საზოგადოება). მან ოთხივე სერიაში თანაბრად ისროლა. ოთხივეჯერ 23 ფეფში გატეხა, 100 შესაძლებლიდან 92 ქულა მოაგროვა და ოსტატობის კანდიდატის ნორმაც შეასრულა მაშინ, როცა II და III პრიზიორებმა გ. ჯანაშიამ და გ. ხუტაშვილმა (ორივენი — „მონკავშირი“) 69 და 68 ქულა აჩვენეს შესაბამისად.

ო. გელაშვილი.



თბილისში ჩატარდა ჭაბუკ ცხენოსანთა რესპუბლიკური პირველობა.

სურათზე: 2-კილომეტრიანი დოლის ფინიშთან პირველია ზუგდიდელი ა. კრაინენკო. მას ცოტათი ჩამორჩა გუდაუთელი ა. შეროზია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკები, ბოლეები, ჯენტლმენები

19 ივნისი დიდი ფეხბურთის დღე იყო. „ა“ კლასის I ჯგუფში შედგა მორიგი ტურის მატჩები, გათამაშების ცხრილში ჩაიწერა ახალი წედეგები.

4 პენალტი ერთ მატჩში! რა თქმა უნდა, ეს სენსაციაა. მოსკოველ მსაჯს ა. ტაბაკოვს „ზენიტისა“ და „კრილია სოვეტოვის“ კარში 2-2-ჯერ მოუხდა ამ უმაღლესი სასჯელის დანიშვნა. პირველი პენალტი კარგად გამოიყენა კუიბიშეველმა კაპსინმა, ხოლო ტაიმის დასასრულს ამ გუნდის მეკარე აგურეევმა შეძლო რიაზანოვის მიერ დარტყმული 11-მეტრიანის მოგერიება. შემდეგი პენალტი კვლავ ვოლგელთა კარში დაინიშნა, რომელიც ზუსტად შეასრულა ნაუმოვმა. 87-ე წუთზე კუიბიშეველმა ეუკოვმა კიდევ ერთი პენალტის რეალიზაცია მოახდინა. ლენინგრადელთაგან 2 გოლი თამაშიდან გაიტანეს რიაზანოვმა და ვასილიევმა და „ზენიტმა“ გაიმარჯვა — 3:2.

ფრედ—0:0—დამთავრდა „ნეფტიანიკის“ შეხვედრა კიევის „დინამოსთან“ და „არარატისა“ — „ჩერნომორეცთან“.

მორიგ წარმატებას მიაღწია „პახტაკორმა“, რომელმაც საკუთარ მინდორზე დაამარცხა „შახტიორი“—3:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს იბრაჰიმოვმა (2) და ტაჯიროვმა, დამარცხებულთაგან — სტანკიავიჩუსმა.

ერთადერთი ბურთი იქნა გატანილი მინსკში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“. მისი ავტორი იყო მოსკოველთა ცენტრალური თავდამსხმელი სტრელცოვი.

ხნაიპერთა შორის კვლავინდებურად პირველია გ. მატვეევი (ასკ, როსტოვი) — 7 ბურთი. ე. ბიშევეცს (კიევის „დინამო“) და ვ. ჩხარტიშვილს (ქუთაისის „ტორპედო“) შეუერთდა ბ. კაზაკოვიც (ასკა) — 6-6 გოლი.

ფეხბურთი

ორი გამარჯვება

ოდესაში...

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 19 ივნისი.
ასკ (ოდესა) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:2 (0:1).

ასკ: კარაკოზოვი, ზახაროვი (გორბაჩი), დუბინსკი, კოლბასიუკი, გრებენიკი, პანოვი, პროხიკოვი, სპირიდონოვი, როსი, ხატაევი, ნემიროვსკი.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ასიტაშვილი (ზარია), ჭითანავა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, გ. ნოდია.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 ოდესელთა სასარგებლოდ.

მატჩის დასაწყისი ძვირად დაუჯდათ მასპინძლებს. ქუთაისელთა პირველივე ეერიშისას ზახაროვმა შეცდომა დაუშვა და ბურთი ღიად დარჩენილ ნოდიას შეატოვა. თავდამსხმელმა დაუყოვნებლივ გამოიყენა მცველის ეს ლაფსუსი და ზუსტად, ძლიერად დაარტყა კარის მარცხენა დაბალ კუთხეში. კარაკოზოვს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, თვალი გაეყოლებინა კარისკენ მიმავალი ბურთისთვის — 1:0.

არმიელებმა სცადეს მაშინვე გამოესწორებინათ თავიანთი ეს შეცდომა და საკმაოდ ხანგრძლივ ეერიშზე გადავიდნენ. მათი თავდამსხმელები ხშირად ახერხებდნენ გასვლას მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩქარობდნენ და ხეირიანად ვერ ამთავრებდნენ შეტევებს, შეორეც, — „ტორპედოს“ დაცვა ნახევარმცველთა დახმარებით კარგად მოქმედებდა. მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს სტუმრებმა მოწინააღმდეგის ნახევარზე გადანაცვლება და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს.

შესვენების შემდეგ ბრძოლას კარგი ხასს პოზიციური ხასიათი ჰქონდა. ტაიმის შუა წუთებზე პროსიკოვსა და სატაევს ჰქონდათ საპასუხო ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობანი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა რეალიზებული.

დასასრულს შეტევაზე კვლავ ტორპედოელები გადავიდნენ. 75-ე წუთზე არმიელთა მხარეს 25 მეტრის მანძილიდან დაინიშნა საჯარიმო. კუტივაძემ ზუსტად შეასრულა დარტყმა, რომელსაც კარაკოზოვი მზად ვერ შეხვდა — 2:0.

დარჩენილ დროში ქუთაისელებს არ გასჭირებიათ ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გამარჯვების შენარჩუნება. 2 ქულა ადებულ იქნა!

კ. სლავინი.

როსტოვში...

როსტოვი. „როსტსელმაშის“ სტადიონი. 19 ივნისი.
ასკ (როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი) 1:2 (1:0).

ასკ: ივანოვი, ფესენკო, კაზაჩოკი, კრივობოროდოვი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, ზიმინი, ბუროვი, კოპაევი, ესკოვი, მატვეევი.

„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რებვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი (მაისურაძე), ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები — 3:2 „დინამოს“ სასარგებლოდ.

როსტოველები, როგორც წესი, შინ ძალიან ძლიერად თამაშობენ. მით უმეტეს, ახლა, როცა მათ ფეხი მოიკიდეს ლიდერთა ჯგუფში და კარგი პერსპექტივებიც აქვთ.

ეს „დებიუტიდანვე“ ცხადი იყო. მართალია, არმიელთა კართან ერთხელ შეიქმნა სიტუაცია, როცა იამანიძისა და ივანოვის შეტევების შედეგად გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ ჩერტკოვმა გადაარჩინა თავისი გუნდი გოლს და მასპინძლები ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ, რასაც მოჰყვა ბუროვის მიერ გატანილი ბურთი — 1:0.

დინამოელებს კარგი ხასს უხდებოდათ მეტოქის ეერიშების მოგერიება და როცა დაცვამ წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, თავიანთი სიტყვა თქვეს თავდამსხმელებმაც. დაიწყო არმიელთა გუნდის კარის ნამდვილი შტურმი.

ტაიმს ცვლილება ანგარიშში არ შეუტანია. შესვენების შემდეგ დინამოელები კვლავ მძლავრად, ეფექტურად იტევდნენ მეტოქეს. კვლავ წარმატებით ითამაშა მარცხენა ფრთაზე მესხმა. მას მხარი აუბეს ბარქაიამ, იამანიძემ და ნათელი შეიქნა, რომ როსტოველები ვერ გადაურჩებოდნენ გოლს. ეს გოლი, მართლაც, გატანილ იქნა, რაშიც საქმაოდ „აქტიური“ მონაწილეობა მიიღო ჩერტკოვმ:: 76-ე წუთზე მან თავით შეიცვალა მიმართულება დათუნაშვილის დარტყმულ ბურთს და... ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1.

დარჩენილ დროში თბილისელები თითქმის არ მოსცილებიან როსტოველთა კარს. 94-ე წუთზე მცველებმა წაიქცეს გარღვევაზე გასული მესხი. „დაზარალებულმა“ თვითონ დაკიდა კართან საჯარიმო დარტყმა და დათუნაშვილმა ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში — 2:1.

ასე შეძლო თბილისის „დინამომ“ თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა ეს ძნელი მატჩი.

ა. კრიკუნი.

„ა“ ჯგუფი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	11	8	3	0	25—2	19
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	12	7	3	2	15—7	17
ასკ (როსტოვი)	12	8	1	3	25—19	17
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	12	5	7	0	14—8	17
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	13	5	5	3	20—10	15
„ტორპედო“ (მოსკოვი)	12	5	4	3	19—13	14
„დინამო“ (თბილისი)	12	4	5	3	14—9	13
ცსკა	12	4	5	3	20—18	13
„ტორპედო“ (ქუთაისი)	13	6	1	6	19—22	13
„არარატი“ (ერევანი)	12	4	4	4	10—11	12
„კაირატი“ (ალმა-ათა)	12	5	2	5	11—13	12
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	13	5	1	7	14—21	11
„დინამო“ (მოსკოვი)	12	4	2	6	11—16	10
„დინამო“ (მინსკი)	13	3	4	6	12—19	10
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	12	2	5	5	10—14	9
„შახტიორი“ (დონეცკი)	12	4	1	7	11—16	9
„არ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	12	2	4	6	9—19	8
ასკ (ოდესა)	12	1	4	7	4—15	6
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	11	2	1	8	10—21	5

„ბ“ ჯგუფი IV ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	13	7	3	3	23—13	17
„სპარტაკი“ (ყისლოვოდსკი)	10	6	4	0	11—3	16
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	11	7	2	2	13—6	16
„კოლხიდა“ (ფოთი)	11	6	3	2	12—4	15
„ლორი“ (კიროვაკანი)	12	5	5	2	10—7	15
„მეშახტე“ (ტყიბული)	12	5	3	4	21—9	13
„მაშინოსტროიტ.“ (პიატიგორ.)	11	5	3	3	23—13	13
„ლერნაგორაცი“ (კაფანი)	12	5	3	4	11—8	13
„მეტალურგი“ (რუსთავი)	13	3	7	3	16—16	13
„დინამო“ (სოხუმი)	11	4	4	3	13—8	12
„უროჟაი“ (კრიმსკი)	11	6	0	5	15—13	12
„ენგური“ (ზუგდიდი)	11	4	2	5	12—13	10
„უროჟაი“ (მაიკოპი)	11	4	2	5	12—13	10
„ალაზანი“ (გურჯაანი)	12	3	3	6	9—11	9
„ხევანი“ (ოქტემბერიანი)	12	2	5	5	10—14	9
„დილა“ (გორი)	12	2	5	5	7—14	9
„დინამო“ (მახაჩყალა)	11	3	2	6	9—17	8
„არაქსი“ (ერევანი)	12	2	4	6	5—15	8
„ურალანი“ (ელისტა)	11	1	5	5	6—19	7
„უროჟაი“ (დერბენტი)	11	1	3	7	6—29	5

ჭაბუკთა ტურნირი დამთავრდა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირის ბოლო მატჩები.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ სოხუმისა და თბილისის დინამოელთა კოლექტივები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ქუთაისის „ტორპედოსი“ და გორის „დილის“ შეხვედრაში წარმატება მოიპოვეს ქუთაისელებმა: მათ დაამარცხეს მეტოქე — 2:1.

ტურნირის დასასრულს ითამაშეს თბილისის აბალაზრდული საფეხბურთო სკოლისა და „ლოკომოტივის“ გუნდებმა. შეხვედრის ანგარიშია 1:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	5	4	0	1	10—2	8
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	5	3	1	1	6—5	7
ახალგ. სფეხ. სკოლა (თბილისი)	5	2	1	2	5—3	5
„ტორპედო“ (ქუთაისი)	5	2	1	2	5—6	5
„დინამო“ (სოხუმი)	5	1	2	2	5—6	4
„დილა“ (გორი)	5	0	1	4	1—9	1

რევანში არ შედგა

ერევნის „დინამოს“ რეგბისტთა მიწვევით სომხეთის დედაქალაქში ამას წინათ ამხანაგური მატჩი გამართა თბილისის დინამოელთა გუნდმა (გაიმარჯვეს სტუმრებმა — 46:18).

გუშინწინ ერევნელები საპასუხო ასპარეზობისთვის თბილისის სარბიელზე გამოვიდნენ. შეხვედრა, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა, მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მათმა კაპიტანმა ი. კიზირიამ საჯარიმო დარტყმით 3 ქულა შესძინა გუნდს. შესვენებამდე ა. მაისურაძემ ანგარიში 6:0-მდე აიყვანა.

მეორე ტაიმში მასპინძლები უფრო გააქტიურდნენ. ს. კეშელავას, რ. ღვინიაშვილის, თ. შარაშენიძის, ვ. აკოფოვისა და სხვათა ენერგიული თამაშით მათ არა თუ შესძლეს მონაპოვრის შენარჩუნება, არამედ კიდევ 21 ქულა მოიხვეჭეს, რასაც ერევნელებმა 5 ქულით უპასუხეს. ამრიგად, რევანში არ შედგა: მატჩი მოიგეს მასპინძლებმა—27:5. გუნდს ყველაზე მეტი ქულა (9-9) შესძინეს კიზირიამ და შარაშენიძემ.

მატჩის მთელი შემოსავალი გადარიცხულია მიწისძვრით დაზარალებული ტაშკენტის ფონდში.

ო. ივდოშვილი.

საგჩოთა კავშირის თასზე

ვორონეჟი, 20 ივნისი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტრუდისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს თბილელებმა — 1:0.

ბროზნო, 20 ივნისი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი „თერგისა“ და ბათუმის „დინამოს“ მატჩმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.



საჯარიმო სროლის მოლოდინში.

ფოტოეტიუდი ა. საკოვისა.

ფინალში გავიდნენ

ფოთში დამთავრდა სსრ კავშირის VIII გუნდური პირველობა შაშში, რომელშიც 15 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. თვითეულში 5 ვაჟი და 1 ქალი შედიოდა, რომლებიც რუსულ და საერთაშორისო შაშში გამოდიოდნენ. მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი.

I ჯგუფში უძლიერესნი აღმოჩნდნენ: სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრები და „ვოდნიკის“ გუნდი, ხოლო II ჯგუფში — „კრასნოე ზნამიასა“ და „მოლდოვას“ მოშაშეები. ეს გუნდები, რომლებსაც შეუერთდებიან „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „ბურევესტნიკი“, „ტრუდი“ (რსფსრ), „ავანგარდი“ (უკრაინა) და „დაუგავა“, ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ.

ასპარეზობაში წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები — „განთიადი“ და „კოლმეურნე“, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში მეექვსენი იყვნენ.

საქართველოს მოშაშეებიდან პირადი ჩათვლაში ყველაზე კარგად ითამაშა ოსტატმა თ. ბარამიძემ (4,5 ქულა 7-დან).

ნ. პახლაჯიანი,
სპორტის ოსტატი.

არ დავუშვათ რასიზმი! — არ ამბობენ სპორტსმენები

ერთი შეხედვით, ცვლილება არც თუ მნიშვნელოვანი იყო. გემების ერთი ცნობილი მეპატრონის — დილეგ სიმონსენის ნაცვლად, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მეორე ნორვეგიელი გემების მფლობელი — იან სტაუბო შეიუვანეს... ამ გადაწყვეტილებამ მძაფრი რეაქცია გამოიწვია ნორვეგიის სპორტულ საზოგადოებრიობაში. და არა მარტო სპორტულში!

საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო წლებში სტაუბო ნორვეგიის ჩოგბურთის კავშირის თავმჯდომარეც იყო და სწორედ მის სახელთან დაკავშირებული ერთი სკანდალური ამბავი: ჩოგბურთის კავშირმა 1964-65 წლებში, აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ ნორვეგიის საზოგადოებრიობის პროტესტის მიუხედავად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელებთან შეხვედრები მოაწყო. როგორც ცნობილია, შეხვედრებზე თავი მოიყარა აუარებელმა მაყურებელმა, რომლებიც... პროტესტს აცხადებდნენ სპორტში რასიზმის წინააღმდეგ. სპორტსმენები ასპარეზობდნენ უფრო პოლიციელთა, ვინმე მსაჯთა სახვეხვენების აკომპანემენტით.

ი. სტაუბო არ უნდა იყოს ნორვეგიის წარმომადგენელი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, — ასეთია აზრი ნორვეგიელ სპორტსმენთა, რომელთა რიცხვში არიან გასული ზამთრის სპორტული სეზონის გმირები — მსოფლიოს ჩემპიონები სათხილამურო სპორტში ი. ეგენი და ბ. ვირკოლა.

ჟურნალ „აქტუელის" კორესპონდენტთან საუბარში ეგენმა განაცხადა, რომ ყველა სპორტსმენს, მიუხედავად კანის ფერისა. უნდა ჰქონდეს თანაბარ უფლებებში შეხვედრის საშუალება. „ი. სტაუბოს და ნორვეგიის სპორტის პრობლემებზე მომუშავეთა უმეტესობას სულ სხვადასხვა აზრი აქვთ რასობრივი დისკრიმინაციის საკითხებზე, — განაგრძობს ეგენი. — ამიტომ სტაუბო შეუფერებელია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნორვეგიელი წევრის როლისთვის".

„მფრინავმა მოთხილამურემ" ბ. ვირკოლამ ასეთი განცხადება გაიკეთა ზემოდასახელებულ ჟურნალში: „სამხრეთ აფრიკაში ბევრს არ შეუძლია ხელი მიჰყოს სპორტს, იმიტომ, რომ თეთრკანიანი არ არის. ვფიქრობ, ნორვეგიამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სპორტის ხელისშემშლელი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ არ მსურს, რომ სტაუბო ნორვეგიის წარმომადგენელი იყოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში".

... მაშ ასე! ნორვეგიის სახელმოხვეჭილი სპორტსმენები პროტესტს უცხადებენ ი. სტაუბოს. მაგრამ ამ უარის მნიშვნელობა გაცილებით დიდია — ნორვეგიული სპორტი პროტესტს უცხადებს სამხრეთ აფრიკაში არსებულ ფერვურდის რასისტულ რეჟიმს.

ა. როზანოვი.

ოსლო.



დმიტრი გიელიცა და ტიგრან პეტროსიანი

იუგოსლავიის პრესას პეტროსიან — სპასკის მატჩზე ზაგრების გაზეთ „ვეესნიკის" კორესპონდენტი დმიტრი ბიელიცა ემსახურებოდა. იგი კარგად იცნობს საბჭოთა მოჭადრაკეებს. მათ შორის ტ. პეტროსიანსა და ბ. სპასკის.

— პეტროსიანი მსოფლიო ჩემპიონობა ჯერ კიდევ ბოტვინიკ — ტალის მატჩის დროს ვუწინასწარმეტყველე, ვინაიდან სარაევოში ერთდროული თამაშის სეანსში მან მხოლოდ ჩემთან შეხვედრა დაამთავრა... ყაიმით, — ხუმრობს დმიტრი.

დ. ბიელიცა მთელ მატჩს დაესწრო. ბევრს მუშაობდა. ყოველ საღამოს ზაგრებსა და სარაევოში გადაცემდა კორესპონდენციებსა და პარტიის სვლებს. მიუხედავად ასეთი დიდი დატვირთვისა. ენამაცვილი ჟურნალისტი მაინც პოულობდა დროს მეგობრული საუბრებისთვის.

გარეგნობით იგი ძალიან ჰგავს გამოჩენილ იუგოსლავიელ დიდოსტატს ა. მატანოვიჩს. აი, რა გვიამბო ზაგრებელმა ჟურნალისტმა:

— 1958 წელს მიუნპენში, XIII საჭადრაკო ოლიმპიადაზე, დიდოსტატის წოდება მომანიჭეს. — იცინის დმიტრი. — დარბაზი, სადაც ტურნირი ტარდებოდა, პატარა იყო და ამიტომ შიგ არავის უშვებდნენ. გამონაკლისს არც ჟურნალისტები წარმოადგენდნენ. „ქვენი ადგილი პრეს-ბიუროშიაო,— გვეუბნებოდა ოლიმპიადის დირექტორი. მე კი რაკი ა. მატანოვიჩს ვგავდი, დარბაზში თავისუფლად შევდიოდი. კონტროლიორი მოკრძალებით მესალმებოდა. „სალამი, ბატონო მატანოვიჩ!"

ჩემს კოლეგებს — ჟურნალისტებს ვერ გაეგოთ. როგორ ვახერხებდი ამას და ახსნა-განმარტება ტურნირის დირექტორს მოთხოვეს. დირექტორმა ჩემსკენ გამოიხედა და სერიოზულად უპასუხა: „ეს ხომ დიდოსტატი მატანოვიჩია!"

ამ დროს, ჩემს იღბალზე, სკამი, სადაც, ჩვეულებრივ, მატანოვიჩი იჯდა, თავისუფალი იყო: დიდოსტატი სეირნობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დირექტორმა მას უთხრა:

— წარმოიდგინეთ, ზოგიერთს ჟურნალისტი ჰგონიხართ და დარბაზიდან თქვენს გაყვანას მოითხოვენ...

მეორე დღეს დირექტორი ღიმილით შემხვდა: „სალამი, ბატონო მატანოვიჩ!" მაგრამ რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ამ დროს ნამდვილ მატანოვიჩსაც მოჰკრა თვალი. ერთი დაბიბღვირა, მაშინვე გამცილდა და დიდოსტატს ბოდიშის კილოთი უთხრა: „გუშინ კინაღამ შევცდი, მინდოდა დარბაზიდან გამეძევებინეთ..." მას შემდეგ მეგობრები „დიდოსტატს" მეძახიან.

მატჩის დამთავრებისას დ. ბიელიცამ იუგოსლავიელ მოჭადრაკეთა სახელით მიულოცა ტ. პეტროსიანს დიდი გამარჯვება. ეს სურათი სწორედ ამ მომენტში გადაიღო ჩვენმა სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა.

თ. ნინოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი — თბილისი.

ᲥᲔᲠᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲚᲘ

● ლონდონი, 19 ივნისი. აქაურ „უაიტ-სიტის" სტადიონზე, როგორც ცნობილია, დამთავრდა საბჭოთა და ინგლისელ მძლეოსანთა ტრადიციული საერთაშორისო მატჩი. შეჯიბრების ბოლო დღეს საკავშირო რეკორდით გაგვახარა ჭოკით მხტომელმა გ. ბლიზნეცოვმა: იგი 509 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაეკლო. კარგად გამოვიდა საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელი ვ. სკვორცოვი. მან პირველი ადგილი დაისაკუთრა — 220 სმ. 5 კილომეტრზე რბენაში ლონდონელები თავიანთი თანამემამულის დ. გრეჰემის გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ საბჭოთა მორბენალმა ვ. კუდინსკიმ 0,6 წამით მოიტოვა მრისხანე მეტოქე. გამარჯვებულის დროა 13.47,0. უროს ტყორცნაში ყველას აჯობა რ. კლიმმა (სსრ კავშირი) — 69,62 მ. 400 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა კიეველმა ვ. ანისიმოვმა — 50,7. მასპინძლებს დარჩათ გამარჯვება 100 მეტრზე ქალთა რბენაში — ჯ. ჰოლი — 11,8.

● **ვარშავა, 19 ივნისი.** აქ დამთავრდა შესანიშნავი პოლონელი მძლეოსნის ი. კუსოჩინსკის მემორიალი. პოლონელ მძლეოსანს 1932 წელს დამყარებული ჰქონდა მსოფლიო რეკორდი 3 კმ-ზე რბენაში — 8.18,8. ბუნებრივია, რომ ყურადღების ცენტრში სწორედ 3 კმ-ზე რბენა იყო. შესანიშნავმა ფრანგმა მძლეოსანმა მ. ჟანზმ ყველა მეტოქე ჩამოიტოვა და აჩვენა 7.51,8. მემორიალში გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლებიც. მ. ოყროშიძე ბრონზის კვრაში VII იყო.

● ხარკოვი, 19 ივნისი. აქ გრძელდება წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. სსრ კავშირის საკლუბო გუნდების ნაკრებმა მოუგო ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს — 7:0. ბუდაპეშტის გუნდმა სძლია უკრაინელ წყალბურთელებს — 4:1.

◆ **ბუქარესტი,** 19 ივნისი. ტელ-ავივში ისრაელის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ (2:1) ურუგვაელები რუმინეთის დედაქალაქს ეწვივნენ და ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან გამართეს მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1.0. გოლი გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა იანკუმ.

◆ **ბონი,** 19 ივნისი. გფრ-ის ნაკრები აქ შეხვდა ავსტრიის ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელებით იყო შედგენილი. გაიმარჯვეს გერმანელებმა — 4:0 (2:0).

◆ **ვიგო** (ესპანეთი), 19 ივნისი. ესპანეთის ეროვნულმა ნაკრებმა აქ მოუგო ბელგიის კლუბ „როიალ-ბეერშოტს" — 4:1 (2:1). 3 ბურთი გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მარსელინომ.

მ. ბოტვინიკის მონაწილეობით ამსტერდამის ტურნირში...

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი კვლავ მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირში.

4 ივლისს იგი დიდოსტატ ს. ფლორთან ერთად ჩაებმება ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, დიდოსტატები ლ. საბო (უნგრეთი), ა. პომარი (ესპანეთი), კ. რობაჩი (ავსტრია) და 5 ჰოლანდიელი ოსტატი.

მსოფლიო ჩემპიონატამდე

ემზადებიან...

◆ **მილანი,** 19 ივნისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები. მატჩის 73-ე წუთზე იტალიელი ბურგნიჩის მიერ გატანილმა გოლმა მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

◆ **გლასგო,** 19 ივნისი. შოტლანდიის ნაკრებისა და პორტუგალიის ეროვნული გუნდის შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. გოლის ავტორია პორტუგალიელთა ცენტრალური თავდამსხმელი ტორესი.

◆ **ლოზანა,** 19 ივნისი. მექსიკისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

გ. კ. ვაშაძე

მძიმე ავადმყოფობამ ხელიდან გამოგვაცალა აქტიური ფიზკულტურული მუშაკი, გულისხმიერი ამხანაგი, სკკპ წევრი, გიორგი კონსტანტინეს ძე ვაშაძე.

გ. ვაშაძე დაიბადა 1924 წელს ქ. ჭიათურაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და რამდენიმეჯერ დაიჭრა.

საბრძოლო დამსახურებისთვის გ. კ. ვაშაძე დაჯილდოებული იყო წოდელი ვარსკვლავის 2 ორდენით და რამდენიმე მედლით.

1945 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ კათედრაზე უფროს ლაბორანტად, იქვე სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

თავისი შემდგომი შრომითი საქმიანობა გ. ვაშაძემ მიუძღვნა ფიზკულტურასა და სპორტს. მუშაობდა თბილისის ოფიცერთა სახლის სპორტკლუბში კლასიკური ჭიდაობის უფროს მწვრთნელად. სპორტსაზოგადოება „ნაუკის" ფიზკულტურის ინსტრუქტორად, ახალი ათონის სანატორიუმში სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორად, თბილისის ერთ-ერთი სტადიონის დირექტორად, თბილისის რეზინის ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტად და, ბოლოს, საქართველოს სპორტკავშირის დახურულ საცურაო აუზის დირექტორად.

მთელ თავის ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას გ. ვაშაძე ახმარდა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეს.

გოგი ვაშაძე იყო თავმდაბალი, უანგარო მუშაკი, ერთგული მეგობარი და მეოჯახე. მისი ნათელი, ვაჟკაცური სახე წარუშლელი დარჩება ჩვენს გულებში.

ამხანაგების ჯგუფი.



ფრანგი ავტომობილისტი გრანსარი მონტე-კარლოს დიდ პრიზზე რბოლაში სასწაულით გადარჩა. დიდი სისწრაფით მქროლი მისი მანქანა მოაჯირს შეასკდა და წინა თვლები და რადიატორი მოძვრა. ცხადია, მანქანა ძალიან დაიმტვრა, მძღოლი კი... საღ-სალამათი გადარჩა.

სურათზე სწორედ ეს მომენტია ასახული.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ბაზაზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრები. 22 ივნისი. სპი (თბილისი) — ჩეხოსლოვაკია (ნაკრები). 23 ივნისი. საქართველო (ნაკრები) — ჩეხოსლოვაკია (ნაკრები). დასაწყისი 20 ს.

ინდექსი 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01620